

შპს „ფუდსერვისი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ფუდსერვისი“
სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფუდსერვისი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

უარყოფითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ფუდსერვისი“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნულ თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ძირითადად იმის გამო, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებული არ არის ინფორმაცია, რომელიც აღწერილია ჩვენი დასკვნის - „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

მენეჯმენტმა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოამზადა ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვების საფუძველზე. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და სრული შემოსავლის ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

კომპანია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა ინვესტიციას სს „ფუდმარტში“ აქციების 20.1%-ის მოცულობით. ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის ინვესტიციის მოცულობა, აქციების ცვლილების გარეშე, გასულ წლებში დაგროვილი ზარალის გათვალისწინებით აღრიცხულია როგორც სრულად გაბათილებული. შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის დასასრულში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება არ ფიქსირდება. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დასტური, რომ კომპანია ახორციელებს სხვა საწარმოში ინვესტიციის რეალური ღირებულების შეფასებას. შესაბამისად, ვერ შევძელით, დაგვედგინა, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება კომპანიის სხვა საწარმოში ინვესტიციების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით.

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულში ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, დავსწრებოდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფიზიკურ დათვალიერებას. ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობების დადასტურება, რომლებიც კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 357 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხვ მარაგებთან დაკავშირებით. გარდა ამისა ჩვენ ვერ დავრწმუნდით კომპანიის მიერ აღიარებული თვითღირებულების ხარჯის სისწორესა და სიზუსტეში.

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულში ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, დავსწრებოდით ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას. ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით სალაროს ნაშთის დადასტურება, რომლებიც კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 77 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება სალაროს ნაშთთან დაკავშირებით.

ჩვენ სრულად ვერ მივიღეთ დასტურის წერილები კომპანიის დებიტორებისა და კრედიტორებისგან, რომელიც შედგება როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისგან. ამასთან, კომპანიის სააღრიცხვო თავისებურებებიდან გამომდინარე ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთები, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული იყო შესაბამისად 32,001 ათას ლარად და 2,235 ათას ლარად.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

შპს „ფუდსერვისის“ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 20 სექტემბერს გამოთქვა პირობითი მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონით. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მისთვის განსაზღვრულ მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის განმახორციელებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა, მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და საადრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება;
- საადრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ანა ოსიყმიშვილი.

ანა ოსიყმიშვილი

შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

11 დეკემბერი, 2020 წ.

თბილისი, საქართველო

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განხრის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიძულებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმომობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმომობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა, მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის შესაბამისობა და საადრიცხო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი მნიშვნელობის გონივრულობის შეფასება;
- საადრიცხო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი მნიშვნელობის ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მოზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ანა ოსიყმიშვილი.

ანა ოსიყმიშვილი

შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

11 დეკემბერი, 2020 წ.

თბილისი, საქართველო



შპს „ფუდსერვისი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათას ლარში)
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	203	15,358
გრძელვადიანი გაცემული სესხი	6	126	-
არამატერიალური აქტივები		14	18
გრძელვადიანი მოთხოვნები		-	2,748
სულ გრძელვადიანი აქტივები		343	18,124
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	32,001	17,293
გაცემული სესხები	6	1,401	-
გადახდილი ავანსები	8	1,273	909
საგადასახადო აქტივი		426	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	357	3,014
ფულადი სახსრები	10	283	385
აქტივების დაბრუნების უფლება	15	52	159
სულ მოკლევადიანი აქტივები		35,793	21,760
სულ აქტივები		36,137	39,884
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	5,099	5,099
გაუნაწილებელი მოგება		22,804	24,456
სულ კაპიტალი		27,903	29,555
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდები		531	-
გრძელვადიანი სესხები	12	-	1,618
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		531	1,618
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	12	5,181	4,592
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,235	2,955
ანარიცხები	14	221	421
დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება	15	60	199
სახელშეკრულებო ვალდებულებები		5	80
საგადასახადო ვალდებულებები		-	464
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,703	8,711
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		36,137	39,884

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს.

დირექტორი:

უზა უგულავა

გვერდებზე 10-34 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ფუდსერვისი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათას ლარში)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	203	15,358
გრძელვადიანი გაცემული სესხი	6	126	-
არამატერიალური აქტივები		14	18
გრძელვადიანი მოთხოვნები		-	2,748
სულ გრძელვადიანი აქტივები		343	18,124
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	32,001	17,293
გაცემული სესხები	6	1,401	-
გადახდილი ავანსები	8	1,273	909
საგადასახადო აქტივი		426	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	357	3,014
ფულადი სახსრები	10	283	385
აქტივების დაბრუნების უფლება	15	52	159
სულ მოკლევადიანი აქტივები		35,793	21,760
სულ აქტივები		36,137	39,884
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	5,099	5,099
გაუნაწილებელი მოგება		22,804	24,456
სულ კაპიტალი		27,903	29,555
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდები		531	-
გრძელვადიანი სესხები	12	-	1,618
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		531	1,618
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	12	5,181	4,592
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,235	2,955
ანარიცხები	14	221	421
დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება	15	60	199
სახელშეკრულებო ვალდებულებები		5	80
საგადასახადო ვალდებულებები		-	464
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,703	8,711
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		36,137	39,884

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს.

დირექტორი:



უჩა უგულავა

გვერდებზე 10-34 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ფუდსერვისი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება (ათას ლარში)
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2019 წ.	2018 წ.
მომხმარებელთა ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი	15	42,063	43,414
თვითღირებულება	16	(34,119)	(36,333)
საერთო მოგება		7,944	7,081
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	17	13,207	(465)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(5,089)	(4,718)
კომერციული ხარჯები	19	(3,645)	(3,497)
სახელშეკრულებო აქტივებისა და სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	7	(574)	(188)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	20	866	3,044
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		46	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	21	(787)	(226)
გაწეული ხარჯის კომპენსირება		-	660
საოპერაციო მოგება		11,968	1,691
ფინანსური შემოსავალი	22	552	494
ფინანსური ხარჯი	22	(755)	(1,371)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო		317	895
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		12,083	1,709
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა (ზარალი)/ მოგება		12,083	1,709

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს.

დირექტორი:


ურა უგულავა

შპს „ფუდსერვისი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება (ათას ლარში)
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2019 წ.	2018 წ.
მომხმარებელთა ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი	15	42,063	43,414
თვითღირებულება	16	(34,119)	(36,333)
საერთო მოგება		7,944	7,081
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	17	13,207	(465)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(5,089)	(4,718)
კომერციული ხარჯები	19	(3,645)	(3,497)
სახელშეკრულებო აქტივებისა და სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	7	(574)	(188)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	20	866	3,044
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		46	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	21	(787)	(226)
გაწეული ხარჯის კომპენსირება		-	660
საოპერაციო მოგება		11,968	1,691
ფინანსური შემოსავალი	22	552	494
ფინანსური ხარჯი	22	(755)	(1,371)
საკუროს სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო		317	895
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე		12,083	1,709
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა (ზარალი)/ მოგება		12,083	1,709

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს.

დირექტორი:



უჩა უგულავა

შპს „ფუდსერვისი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ათას ლარში)
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 01.01.2018	5,099	22,747	27,846
პერიოდის შედეგი	-	1,709	1,709
ბალანსი 31.12.2018	5,099	24,456	29,555
პერიოდის შედეგი	-	12,083	12,083
გაცემული დივიდენდი	-	(13,735)	(13,735)
ბალანსი 31.12.2019	5,099	22,804	27,903

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს.

დირექტორი:

უჩა უგულავა

გვერდებზე 10-34 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ფუდსერვისი“


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ათას ლარში)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 01.01.2018	5,099	22,747	27,846
პერიოდის შედეგი	-	1,709	1,709
ბალანსი 31.12.2018	5,099	24,456	29,555
პერიოდის შედეგი	-	12,083	12,083
გაცემული დივიდენდი	-	(13,735)	(13,735)
ბალანსი 31.12.2019	5,099	22,804	27,903

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს.

დირექტორი:



ურჩა უგულავა

გვერდებზე 10-34 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ფუდსერვისი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ათას ლარში)

პირდაპირი მეთოდი

	2019 წ.	2018 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	53,601	49,915
მომწოდებლისათვის გადახდილი ფული	(41,616)	(43,223)
თანამშრომელთათვის გადახდილი ფული	(3,117)	(3,050)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	8,868	3,642
მიღებული პროცენტი	20	105
გადახდილი პროცენტი	(647)	(647)
გადახდილი გადასახადები	(10,625)	(6,033)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(2,384)	(2,933)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	6,201	2,911
ძირითადი საშუალებების შეძენა	(22)	(97)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	6,179	2,814
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	10,688	11,350
სესხის დაფარვა	(5,877)	(11,158)
გაცემული დივიდენდები	(5,300)	-
სესხის გაცემა	(3,820)	-
გაცემული სესხის დაბრუნება	450	-
წმინდა ფული გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	(3,859)	192
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	(64)	73
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	385	391
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებში, წმინდა	(38)	(79)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	283	385

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს.

დირექტორი:

უჩა უგულავა

შპს „ფუდსერვისი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ათას ლარში)

პირდაპირი მეთოდი

	2019 წ.	2018 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	53,601	49,915
მომწოდებლისათვის გადახდილი ფული	(41,616)	(43,223)
თანამშრომელთათვის გადახდილი ფული	(3,117)	(3,050)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	8,868	3,642
მიღებული პროცენტი	20	105
გადახდილი პროცენტი	(647)	(647)
გადახდილი გადასახადები	(10,625)	(6,033)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(2,384)	(2,933)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	6,201	2,911
ძირითადი საშუალებების შეძენა	(22)	(97)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	6,179	2,814
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	10,688	11,350
სესხის დაფარვა	(5,877)	(11,158)
გაცემული დივიდენდები	(5,300)	-
სესხის გაცემა	(3,820)	-
გაცემული სესხის დაბრუნება	450	-
წმინდა ფული გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	(3,859)	192
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	(64)	73
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	385	391
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებში, წმინდა	(38)	(79)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	283	385

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს.

დირექტორი:

უჩა უგულავა

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ფუდსერვისი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2006 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205179849.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ადგილობრივი კვების პროდუქტების შესყიდვა, დისტრიბუცია და ლოგისტიკა. ასევე, კვების პროდუქტების იმპორტი სხვადასხვა ქვეყნიდან. კომპანიას აქვს დიდი ავტოპარკი და სასაწყობო მეურნეობა თბილისსა და ქუთაისში. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ჩანტლამის ქუჩა N40. კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის იგივე მისამართზე.

დეტალური ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია მე-11 შენიშვნაში. შპს „ფუდსერვისი“ ფლობს ინვესტიციას სს „ფუდმარტში“ აქციების 20.1%-ის მოცულობით, რაც აღრიცხულია, როგორც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში. ინვესტიციის მოცულობა და აქციების რაოდენობა უცვლელია და ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის გასულ წლებში დაგროვილი ზარალის გათვალისწინებით სრულად გაინეტა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ფუდმარტის“ დაგროვილი ზარალი აჭარბებდა ინვესტიციის მოცულობას, ხოლო აქციების რაოდენობა შეადგენდა 20.1%.

შპს „ფუდსერვისის“ დირექტორი არის უჩა უგულავა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2019	31 დეკ 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

რადგან 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კომპანიამ გადაწყვიტა ძირითადი საოპერაციო საქმიანობის შეჩერება. მიუხედავად ამისა, კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისთვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და

რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შემენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისთვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერევატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით, როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3-დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისთვის:

სასარგებლო ვადა (წელი)	
შენობა	30-40
მანქანა-დანადგარები	5-8
სატრანსპორტო საშუალებები	3-7
სხვა ძირითადი საშუალებები	2-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების

მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

შემოსავლის აღიარება

კომპანია ახდენს საკვები პროდუქტების იმპორტს და დისტრიბუციას ადგილობრივ ბაზარზე. რეალიზაცია ხორციელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე. შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება პროდუქციაზე კონტროლის უფლების გადაცემა, რაც გულისხმობს პროდუქციის მომხმარებელზე გადაცემას. გადაცემა ხდება როდესაც პროდუქცია მიდის შემკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე ან კომპანიას აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ მომხმარებლის მიერ პროდუქციის მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

შემოსავალი აღიარდება კონტრაქტის საფუძველზე შეთანხმებული გარიგების ფასით. საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული კომპანიის გარიგებები მოიცავს ერთჯერად ვალდებულებებს და წარმოადგენს პროდუქციის ერთობლიობის გადაცემას გამყიდველზე. უმეტეს შემთხვევაში პროდუქციის საფასურის ანაზღაურება ხდება ან პროდუქციის გადაცემის მომენტი ან მომავალში შეთანხმებული გადახდის პირობების შესაბამისად, თუმცა ანაზღაურების ვადა არასოდეს აღემატება 12 თვეს. შესაბამისად გარიგების ფასი არ კორექტირდება მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის ეფექტით.

კომპანია მომხმარებლებს არ სთავაზობს გარანტიებს, გადახდილი თანხის ანაზღაურების და პროდუქციის დაბრუნების უპირობო უფლებას. კომპანია არ გეგმავს ისეთი გარიგებების განხორციელებას, რომლის შემთხვევაშიც პერიოდი პროდუქციის კლიენტისთვის გადაცემის მომენტიდან ღირებულების ანაზღაურებამდე აღემატება ერთ წელს. შედეგად, სათანადო პრაქტიკული მიზნების გათვალისწინებით კომპანია არ ახდენს რაიმე გარიგების ღირებულების კორექტირებას დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

ინვესტიციები საწარმოში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეფასება საგადასახადო ორგანოების შეფასებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს და ამან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოთა მიერ ტრანზაქციების ექვევქმ დაყენება, რის გამოც კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მან გადაიხადა საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება დაუკავშირებელ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები რომლებიც ძალაშია 2019 და 2021 წლების პირველი იანვრიდან.

ფასს 16 - იჯარა (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 17 სტანდარტს და მის ინტერპრეტაციებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან.

კომპანიას არ აქვს ისეთი საიჯარო ხელშეკრულება, რომელიც 12 თვეს აღემატება. შესაბამისად, იგი არ იყენებს ფასს 16.

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოქვეყნდა 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17 წარმოადგენს ფასს 4-ის ჩაანაცვლებას, რომელმაც კომპანიები გაათავისუფლა სადაზღვევო ხელშეკრულებების არსებული პრაქტიკის მიხედვით აღრიცხვის გაგრძელების ვალდებულებისგან. ამის შედეგად ინვესტორებს გაუჭირდათ სხვა მხრივ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების ერთმანეთთან შედარება და ერთმანეთისგან განსხვავება. ფასს 17 აგებულია ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების, მათ შორის მზღვეველის ხელთ არსებული გადაზღვევის ხელშეკრულებების ერთიანი აღრიცხვის პრინციპზე. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარებას და შეფასებას: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის მიხედვით კორექტირებული მიმდინარე ღირებულებით (ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები), რომელიც სრულად შეიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ისე, რომ შესაბამისობაში იყოს საბაზრო ინფორმაციასთან; არის პლუს (თუ მიღებული რიცხვი ვალდებულებას წარმოადგენს) ან მინუს ნიშნით (თუ მიღებული რიცხვი აქტივია); (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების ჯგუფზე გამოუმუშავებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას აღიარებენ იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მათ გასწიეს სადაზღვევო მომსახურება და როდესაც ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან გახდება ზარალიანი, ბიზნეს-სუბიექტი დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს.

ფასს-17 არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან.

შესწორება ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით- განმარტავს, რომ იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა წინასწარი გადახდის მახასიათებელი SPPI პირობას, მხარეს, რომელიც ამ ოფციას გამოიყენებს, შეუძლია სათანადო ანაზღაურება წინასწარ გადაიხადოს ან მიიღოს წინასწარი გადახდის მიზეზის მიუხედავად. სხვა სიტყვებით, წინასწარი გადახდის მახასიათებლებმა უარყოფითი ანაზღაურებით SPPI ტესტი შეიძლება გაიაროს კიდევ ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოქვეყნდა 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასებაზე, ინსტრუქციებს ფინანსური შედეგების ანგარიშგებაზე, ტერმინთა გაუმჯობესებულ განმარტებებსა და მითითებებს განსაკუთრებით, ვალდებულებების განსაზღვრებას, ხსნის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ლიდერობა, პრუდენციული საკითხები და შეფასების განუსაზღვრელობა ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფას-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

- ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან უნდა იხელმძღვანელოს ეტაპობრივად განხორციელებული გაერთიანების მოთხოვნებით, მათ შორის რეალური ღირებულებით გადაფასოს ერთობლივ საქმიანობაში ადრე ფლობილი წილი. ამ უკანასკნელში უნდა შევიდეს არალიარებული აქტივები, ვალდებულებები და გუდვილი, რომელიც ერთობლივ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.
- ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანია მონაწილეობს კომერციულ ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ არ გააჩნია მასზე ერთობლივი კონტროლი, მოიპოვებს ერთობლივ კონტროლს მასზე, კომპანია არ გადააფასებს ერთობლივ საქმიანობაში მანამდე ფლობილ წილებს.
- ფასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ პირმა დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგები მოგება-ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში უნდა ასახოს იმის მიხედვით, თუ სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. აღნიშნული ეხება ყველა შემთხვევას, იმის მიუხედავად, განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებას სხვადასხვა გადასახადის განაკვეთი ერიცხება თუ არა.
- ფასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, აღებულ სესხებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის დათვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის და გამოიყენება პროსპექტულად. ვადადელი გამოყენება დაშვებულია.

- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება - გვთავაზობს საბუღალტრო / საგადასახადო პოზიციის დადგენის მეთოდს ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია პირებს ავალდებულებს: 1. განსაზღვრონ, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად შეაფასონ თუ ჯგუფად; და 2. შეაფასონ, რამდენად სავარაუდოა, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გადასახადის გამოყენებული ან შემოთავაზებული დამუშავების წესს მოგების გადასახადის დეკლარაციაში: - თუ სავარაუდოა, მაშინ პირმა საბუღალტრო საგადასახადო პოზიცია უნდა დაადგინოს გამოყენებულ ან დაგეგმილ დამუშავებასთან თანმიმდევრულად. - თუ არ არის სავარაუდო, მაშინ პირმა არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის წესში.

- გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას ვადაზე ადრე არ დაუნერგავს. „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის“ - ცვლილებები ფასს 10-სა და ასს 28-ში (გამოქვეყნდა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება IAS-ის მიერ დადგენილი თარიღით ან ამავე თარიღის შემდგომ). ამ ცვლილებების მიზანია მოაგვაროს შეუსაბამობა ფასს 10-ისა და ასს 28-ის მოთხოვნებს შორის, რომლებიც ეხება აქტივების გაყიდვას ან კაპიტალში შეტანას ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის. ამ ცვლილებების მთავარი ეფექტი ის არის, რომ ხდება სრული შემოსულობის ან ზარალის აღიარება, როცა გარიგება ეხება ბიზნესს. ნაწილობრივი შემოსულობის ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გარიგება ეხება აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, თუნდაც ამ აქტივებს ფლობდეს შვილობილი კომპანია.

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	3,769	22,126	4,311	2,319	1,562	34,087
შემოსვლა	-	130	62	176	113	481
გასვლა	(2,138)	(9,313)	(250)	-	(249)	(11,950)
2018 წლის 31 დეკემბერი	1,631	12,943	4,123	2,495	1,426	22,618
შემოსვლა	-	273	1,949	156	342	2,720
გასვლა	(1,513)	(13,045)	(6,069)	(2,651)	(1,756)	(25,033)
2019 წლის 31 დეკემბერი	118	171	3	1	13	305

დაგროვილი ცვეთა

ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი	-	(4,060)	(3,133)	(1,981)	(1,133)	(10,307)
ცვეთა	-	(377)	(431)	(183)	(139)	(1,130)
გასვლა	-	3,709	241	-	227	4,177
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	(728)	(3,323)	(2,164)	(1,045)	(7,260)
ცვეთა	-	(351)	(284)	(216)	(139)	(991)
გასვლა	-	988	3,607	2,380	1,174	8,149
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	-	(92)	-	(1)	(10)	(102)

წმინდა საბალანსო ღირებულება

2017 წლის 31 დეკემბერი	3,769	18,066	1,178	338	429	23,780
2018 წლის 31 დეკემბერი	1,631	12,215	800	331	381	15,358
2019 წლის 31 დეკემბერი	118	79	3	-	3	203

6. გაცემული სესხები

გაცემული სესხები	31.12.2019	31.12.2018
მოკლევადიანი სესხი	1,401	-
გრძელვადიანი სესხი	126	-
სულ გაცემული სესხები	1,527	-

კომპანიამ გასცა გრძელვადიანი სესხები დაკავშირებულ იურიდიულ პირებზე. სესხი იყო ლარსა და დოლარში. სესხის პროცენტი მერყეობს 10-12% მდე.

2019 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ გაცემული მოკლევადიანი სესხები შეადგენდა 1,850 ათას ლარს. ამავე წელს მოხდა მოკლევადიანი სესხის დაბრუნება 450 ათასი ლარის ოდენობით და შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ნაშთმა შეადგინა 1,400 ათასი ლარი. სესხის პროცენტი მერყეობს 13-14% მდე. მოკლევადიანი სესხი მოიცავს მისაღებ პროცენტს, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,127 ლარს.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	33,794	18,591
სულ სავაჭრო მოთხოვნები	33,794	18,591
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,792)	(1,298)
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები	32,001	17,293
გრძელვადიანი მოთხოვნები		
გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან	-	2,748
სულ გრძელვადიანი მოთხოვნები	-	2,748

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები

ქვემოთ მოცემულია სახელშეკრულებო და სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე შექმნილ ანარიცხებზე მოძრაობა საანგარიშგებო თარიღებისთვის:

	სავაჭრო მოთხოვნები	სულ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,109	1,109
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები რეზერვი ცვლილება	188	188
ჩამოწერები	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,297	1,297
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები რეზერვი ცვლილება	574	574
ჩამოწერები	(79)	(79)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,792	1,792

8. გადახდილი ავანსები

	31.12.2019	31.12.2018
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები ეროვნულ ვალუტაში	763	504
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები უცხოურ ვალუტაში	506	366
წინასწარ ანაზღაურებული ხარჯი	4	39
სულ გადახდილი ავანსები	1,273	909

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31.12.2019	31.12.2018
სარეალიზაციო მარაგები	348	2,957
საწვავი	7	19
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	38
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	357	3,014

10. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	77	219
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	205	164
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	-	2
სულ ფულადი სახსრები	283	385

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

11. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს პარტნიორების შენატანებს და დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებას.

კაპიტალი	31.12.2019	31.12.2018
საწესდებო კაპიტალი	5,099	5,099
გაუნაწილებელი მოგება	22,804	24,456
სულ კაპიტალი	27,903	29,555

საწესდებო კაპიტალი მოიცავს საწყის საწესდებო კაპიტალს 400 ლარის ოდენობით და 2015 წელს SEAF CAUCASUS GROWTH FUND L.P-ის მიერ კაპიტალის შევსებას 5,099 ათასი ლარის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები:

დივიდენდები	31.12.2019	31.12.2018
გამოცხადებული დივიდენდები	13,735	-
გადახდილი დივიდენდები	13,204	-
გადასახდელი დივიდენდები	531	-

12. მიღებული სესხი

მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31.12.2019	31.12.2018
ბანკებისგან მიღებული სესხი	GEL	12-13%	2020	1,262	1,700
ბანკებისგან მიღებული სესხი	GEL	12-13%	2020	3,881	-
ბანკებისგან მიღებული სესხი	GEL	10-12%	2023	-	2,892
გადასახდელი პროცენტი	GEL			38	-
სულ მოკლევადიანი სესხები				5,181	4,592

კომპანიას, გარდა სესხებისა, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკისგან მიღებული აქვს გარანტია, რომელიც შეადგენს 700 ათას ლარს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკებისგან მიღებული სესხი უზრუნველყოფილია შპს „ფუდსერვისის“ სავაჭრო და საოფისე ფართებით.

გრძელვადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31.12.2019	31.12.2018
ბანკებისგან მიღებული სესხი	GEL	10-12%	2023	-	1,618
სულ გრძელვადიანი სესხები				-	1,618

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,202	2,777
მიღებული ავანსები	4	-
გადასახდელი ხელფასები	-	139
სხვა ვალდებულებები	30	40
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,235	2,955

14. ანარიცხები

პირობით ვალდებულებებზე შექმნილ ანარიცხებში მოძრაობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,480
ზრდა წლის განმავლობაში	-
გასულ პერიოდებში შექმნილი ანარიცხის შემცირება	(2,059)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	421
ზრდა წლის განმავლობაში	-
გასულ პერიოდებში შექმნილი ანარიცხის შემცირება	(200)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	221

15. მომხმარებელთა ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავლის სახე:

	2019 წ.	2018 წ.
საქონლის მიწოდებიდან	41,509	43,009
ლოგისტიკური მომსახურებიდან	554	405
სულ შემოსავალი	42,063	43,414

საქონლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი საქონლის კატეგორიების მიხედვით:

დასახელება	2019 წ.	2018 წ.
სუპერმარკა	11,945	-
რძის პროდუქტები	10,379	8,442
ხილ ბოსტნეული	5,902	5,776
ხორცპროდუქტები	5,469	14,806
მაიონეზი, პასტა, სოუსები	3,325	815
ნაყინი	1,504	701
ზღვის პროდუქტები	821	870
საფუარი და სხვა დანამატები	813	775
სხვა	550	3,513
ბურღულეული, მარილი, შაქარი	438	3,218
სასმელები	250	302
ტკბილეული და პურპროდუქტები	69	-
დაკონსერვებული პროდუქტები	34	2,993
მშრალი და სწრაფი მომზადების საკვები	9	-
მიწის თხილი	-	798
სულ	41,509	43,009

ინფორმაცია სახელშეკრულებო მოთხოვნა/ვალდებულებებზე:

სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი, ჩვეულებრივ მათი შეგროვების პერიოდი არის 90 დღემდე.

საკონტრაქტო ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან მომხმარებლებისგან მიღებულ ავანსებს.

დაბრუნების უფლებით გაყიდულ აქტივებზე ხდება დაბრუნებისა და ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეფასება. შეფასება ეფუძნება წარსულ გამოცდილებას.

შესასრულებელი ვალდებულებები

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციის მიწოდება ადგილობრივი მომხმარებლებისთვის, როგორცაა სასურსათო მაღაზიები, სახელმწიფო ორგანიზაციები, სასტუმროები, რესტორნები და ა.შ.

შესასრულებელი ვალდებულებები კმაყოფილდება საქონლის/მომსახურების მომხმარებლისთვის მიწოდებისთანავე და გადახდა ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

16. თვითღირებულება

თვითღირებულება	2019 წ.	2018 წ.
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	33,819	35,852
სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა	97	240
ანარიცხი გაუფასურებულ სასაქონლო მატერიალურ მარაგებზე	203	241
სულ თვითღირებულება	34,119	36,333

17. ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

კომპანიამ 2019 წლის 17 ნოემბერს გაყიდა 14,892 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები დაკავშირებულ მხარეზე. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 9,438 ათასი აშშ დოლარი. ხელშეკრულების პირობების მიხედვით ორი მილიონი აშშ დოლარი კომპანიამ მიიღო ხელშეკრულების გაფორმებისას, დანარჩენის გადახდის ვალდებულება კი განისაზღვრა 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	2019 წ.	2018 წ.
ხელფასი და სხვა სარგებელი	2,311	1,956
ცვეთა და ამორტიზაცია	890	1,041
კომუნალური ხარჯი	800	444
სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების ხარჯები	137	289
საგადასახადო ხარჯი	117	223
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	100	142
იჯარის ხარჯი	92	101
დაზღვევის ხარჯი	64	64
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	578	458
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	5,089	4,718

19. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯი	2019 წ.	2018 წ.
ხელფასები და სხვა სარგებელი	1,515	2,053
სხვა მარკეტინგული ხარჯები	1,241	212
საწვავის ხარჯები	700	707
რეკლამის ხარჯები	106	182
პრომო აქცია	66	235
სატრანსპორტო საშუალების იჯარის ხარჯი	17	108
სულ კომერციული ხარჯი	3,646	3,497

20. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი	2019 წ.	2018 წ.
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	700	902
სხვა საოპერაციო შემოსავლები	87	83
ცვლილებები ანარიცხებში	79	2,059
სულ საოპერაციო შემოსავალი	866	3,044

კომპანიის სხვა საოპერაციო შემოსავლის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს იჯარიდან მიღებულ შემოსავლებს. კომპანიის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ძირითადი საშუალებების რეალიზაციას, შესაბამისად მოსალოდნელია იჯარიდან მიღებული შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება.

21. სხვა საოპერაციო ხარჯი

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯმა შეადგინა 787 ათასი ლარი, რომლის ძირითადი ნაწილი, 636 ათასი ლარი წარმოადგენს კომპანიის მიერ დაზიანებული პროდუქციის კომპენსირების ხარჯს.

22. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

ფინანსური შემოსავალი	2019 წ.	2018 წ.
საპროცენტო შემოსავალი	117	2
სხვა ფინანსური შემოსავლები	1	-
გრძელვადიანი მოთხოვნების დისკონტირების ხარჯი	435	492
სულ ფინანსური შემოსავალი	552	494

ფინანსური ხარჯი		
ბანკის საკომისიო ხარჯები	25	-
გრძელვადიანი მოთხოვნების დისკონტირების ხარჯი	-	518
საპროცენტო ხარჯი	98	765
სხვა ფინანსური ხარჯები	632	88
სულ ფინანსური ხარჯი	755	1,371

ნეტო ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	(203)	(877)
--	--------------	--------------

23. მოგების გადასახადი

2017 ფინანსური წლის დასაწყისიდან მოხდა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც მირითადად ეხება მოგების გადასახადს და რომლის მიხედვითაც კომპანია ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მხოლოდ დივიდენდის გაცემის მომენტში (რამდენიმე გამონაკლისით), ფასს და საგადასახადო მიზნებით მიღებული მოგება შესაბამისად ამ ცვლილებების შემდეგ ერთმანეთს გაუტოლდება და გადავადებული გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს კომპანია მომავალში ვეღარ გამოიყენებს.

24. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

25. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

შპს „ფუდსერვისი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ათას ლარებში)

31.12.2019	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები				-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	140	-	31,861	32,001
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	283	283
გაცემული სესხები	-	-	1,527	1,527
სულ ფინანსური აქტივები	140	-	33,671	33,811
ფინანსური ვალდებულებები				-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	322	37	1,876	2,235
მიღებული სესხები	-	-	5,181	5,181
სულ ფინანსური ვალდებულებები	322	37	7,058	7,417
წმინდა პოზიცია	(182)	(37)	26,614	26,395
31.12.2018	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,194	-	14,099	17,293
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	385	385
გრძელვადიანი მოთხოვნები	2,748	-	-	2,748
სულ ფინანსური აქტივები	5,942	-	14,484	20,426
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	270	-	2,685	2,955
მოკლევადიანი სესხები	-	-	6,210	6,210
სულ ფინანსური ვალდებულებები	270	-	8,895	9,165
წმინდა პოზიცია	5,672	-	5,589	11,261

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2019 -2018 წლებში მოცემულია ქვემოთ:

31.12.2019	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	5,181	-	-	5,181
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,235	-	-	2,235
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,417	-	-	7,417
31.12.2018				
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	4,592	1,618	-	6,210
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,955	-	-	2,955
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,547	1,618	-	9,165

26. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

27. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დაკავშირების სახე	2019 წ.	2018 წ.
მეკავშირე საწარმო	859	1,358
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	1
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	23	169
	882	1,528

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დაკავშირების სახე	2019 წ.	2018 წ.
მეკავშირე საწარმო	(3,789)	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	(1,819)	(6,943)
	(5,608)	(6,943)

გაცემული სესხი

დაკავშირების სახე	2019 წ.	2018 წ.
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1,400	-
მეკავშირე საწარმო	126	-
	126	-

ძირითადი საშუალებების რეალიზაცია

დაკავშირების სახე	2019	2018
მეკავშირე საწარმო	13,207	-
	13,207	-

მენეჯმენტის ანაზღაურება:

	2019 წ.	2018 წ.
უმაღლესი მართველობითი რგოლის ხელფასი	386	200

28. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, თუმცა კომპანია ფიქრობს ძირითადი საქმიანობის შეჩერებას ბაზარზე მომდევნო 12 თვის განმავლობაში.

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 11 დეკემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

კომპანიის საქმიანობა კოვიდ-19 პირობებშიც ემსახურებოდა დებიტორულ და კრედიტორული დავალიანებების დაფარვას.

2020 წლის განმავლობაში კომპანიას დებიტორული დავალიანება შეუმცირდა 29,030 ათასი ლარის ოდენობით. ასევე მოხდა 500 ათასამდე ლარის რეზერვის შემცირება.

გაცემული სესხის თანხა გაიზარდა 3,899 ათასი ლარით და შემცირდა 3,326 ათასი ლარით, საიდანაც 1,000 ათასით შემცირება განხორციელდა ურთიერთჩათვლის საფუძველზე.

2020 წლის განმავლობაში ბანკისგან მიღებული სესხები კომპანიამ სრულად დაფარა. შესაბამისად, 2020 წელს ბანკის მიერ უზრუნველყოფილი ძირითადი საშუალებები გათავისუფლდა გირავნობიდან.

შპს „ფუდსერვისი“-ს 2019 წლის საანგარიშო პერიოდის შემდეგ, მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს კომპანიის პარტნიორთა შორის წილების გადახაწილება, რომელიც დაიგეგმა 2019 წლის დეკემბერში და განხორციელდა 2020 წლის თებერვალში. კერძოდ, კომპანიის 10%-ის მფლობელმა პარტნიორმა, კომანდიტური საზოგადოება SEAF Caucasus Growth Fund L.P.,

(შემდგომში SEAF) თავის მფლობელობაში არსებული 10% წილი გაცვალა, შპს „ფუდსერვისი“-ს მფლობელობაში არსებულ, სს „ფუდმარტი“-ს 3,256 (სამი ათას ორას ორმოცდათექვსმეტ) აქციაში. ამ ცვლილების შედეგად კომპანიის პარტნიორთა შორის აღარ ფიგურირებს SEAF.

დამფუძნებლებს შორის წილობრივი გადანაწილება განისაზღვრა შემდეგნაირად:

მეწილე	31.12.2019	31.12.2018
ანდრო გეგენავა	27.20%	24.48%
ივანე ნიკოლაიშვილი	11.40%	10.26%
გიორგი ჩუბინაშვილი	11.40%	10.26%
კომანდიტური საზოგადოება SEAF Caucasus Growth Fund L.P.	-	10.00%
შპს ჰოლდინგ.ჯი	50.00%	45.00%
სულ	100.00%	100.00%

შპს „ფუდსერვისი“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

I.	ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	3
II.	ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები ფინანსური მაჩვენებლები	5
III.	სუბიექტის განვითარების გეგმები.....	6
IV.	კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	6
V.	ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	6
VI.	წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	7
VII.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	7

I. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ფუდსერვისი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია უჩა უგულავა).

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული კვების პროდუქტების დისტრიბუცია და ლოგისტიკა. კომპანიას აქვს საკუთარი წარმოების ხაზი სუპრემო (ბაკალეა/ბურღულეული) და ლილეო (ხილ-ბოსტანი), ასევე დიდი ავტოპარკი და ლოგისტიკური ცენტრები თბილისსა და ქუთაისში. პროდუქციის დისტრიბუცია ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანია ასევე სთავაზობს კორპორატიულ კლიენტებს სხვადასხვა სახის ლოგისტიკურ მომსახურებას, თუმცა შემოსავლების 99%-ზე მეტი მოდის საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალზე. კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2019	2018
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	41,509	43,009
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	554	405

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის კორპორატიული ქსელებზე 60%, საცალო მაღაზიები 25%, სხვა დანარჩენი 15%. კორპორატიულ ქსელებზე რეალიზაცია მუდმივად იზრდება რისი ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი არის საცალო მაღაზიებზე გაყიდვების შემცირება. დასავლეთ საქართველოში მომარაგება ხორციელდება რეგიონალური ლოგისტიკური ცენტრების დახმარებით (ქუთაისი, ბათუმი), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მომარაგება ხორციელდება ცენტრალური საწყობიდან. კომპანიას არ აქვს საცალო გაყიდვის წერტილები. ცენტრალური საწყობი და ლოგისტიკური ცენტრი ადმინისტრაციულ შენობასთან ერთად მდებარეობს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ჩანტლადის ქუჩა N40.

პროდუქტის სახეობა	2019	2018
სუპრემო	11,945	-
რძის პროდუქტები	10,379	8,442
ხილ ბოსტნეული	5,902	5,776
ხორც-პროდუქტები	5,469	14,806
მაიონეზი, პასტა, სოუსები	3,325	815
ნაყინი	1,504	701
ზღვის პროდუქტები	821	870
საფუარი და სხვა დანამატები	813	775
სხვა	550	3,513
ბურღულეული, მარილი, შაქარი	438	3,218
სასმელები	250	302
ტკბილეული და პურ-პროდუქტები	69	-
დაკონსერვებული პროდუქტები	34	2,993
მშრალი და სწრაფი მომზადების საკვები	9	-
მიწის თხილი	-	798
სულ	41,509	43,009

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის გენერალური დირექტორია უჩა უგულავა. დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს პარტნიორები შესაბამისი გადაწყვეტილებებით. კომპანია იმართება რეგისტრირებული გენერალური დირექტორის მიერ, რომელიც წარმოადგენს კომპანიას მესამე პირებთან ურთიერთობისას.

პარტნიორების თანხმობაა საჭირო გარკვეულ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლის გარეშე დირექტორი ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებას. ეს საკითხებია:

ა) უძრავი ქონების შეძენა-გასხვისება

ბ) საზოგადოების საქმიანობის მიმართულებებისა და სამეურნეო პოლიტიკის განსაზღვრა, წარმოების სხვადასხვა სახეების დაწყება და შეწყვეტა;

გ) პარტნიორის შესატანის გადახდის მოთხოვნა; საზოგადოებაში ახალი პარტნიორის შემოყვანა;

დ) კაპიტალის ნებისმიერი ცვლილება (გაზრდა ან შემცირება); პარტნიორის დამატებითი შესატანების უკან დაბრუნება;

ე) აუდიტორისა და სპეციალური კონტროლიორის არჩევა; წლიური ფინანსური აუდიტის დასკვნის დამტკიცება;

ვ) გადაწყვეტილებების მიღება დირექტორის, ან ცალკეული პარტნიორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ; ამ პროცესზე წარმომადგენლის დანიშვნა.

ზ) ნებისმიერი დირექტორის საქმიანობის კონტროლი და ამ მიზნით ნებისმიერი დირექტორისაგან ნებისმიერ დროს საზოგადოების საქმიანობის სრული ანგარიშის წარმოდგენის მოთხოვნა;

თ) ნებისმიერი დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება, მასთან კონტრაქტის დადება და შეწყვეტა.

ი) ინვესტიციების განხორციელება.

კ) საზოგადოების მიერ სესხებისა და კრედიტების აღება;

ლ) სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა (საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვა);

მ) საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა.

შპს „ფუდსერვისი“ თავის მხრივ ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

კომპანიის დასახელება	საქმიანობის ტიპი	აქციების რაოდენობა (%)
სს „ფუდმარტი“	საცალო ვაჭრობა	20.1 %

2020 წლის თებერვალში კომანდიტურმა საზოგადოებამ „SEAF Caucasus Growth Fund L.P.“ სს“ ფუდმარტის“ აქციების სანაცვლოდ დათმო თავისი აქციების წილი შპს „ფუდსერვისი“. საჯარო რეესტრში საქმის წარმოება დასრულდა 2020 წლის თებერვალში. დამფუძნებლებს შორის მოხდა ცვლილებები წილობრივ გადანაწილებაში:

მეწილე	31.12.2019	31.12.2018
ანდრო გეგენავა	27.20%	24.48%
ივანე ნიკოლაიშვილი	11.40%	10.26%
გიორგი ჩუბინაშვილი	11.40%	10.26%
კომანდიტური საზოგადოება SEAF Caucasus Growth Fund L.P.	-	10.00%
შპს ჰოლდინგ.ჯი	50.00%	45.00%
სულ	100.00%	100.00%

II. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები ფინანსური მაჩვენებლები

2019 წლის შემოსავალმა შეადგინა 42,063 ლარი, ხოლო 2018 წლის 43,414 ლარს . არსებული შემცირება ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ კომპანიამ მის ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებების დიდი ნაწილი გაყიდა 2019 წლის 17 ნოემბერს. აქედან გამომდინარე შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან მნიშვნელოვნად შემცირდა.

ძირითადი კოეფიციენტები:	2019	2018
სულ შემოსავალი	42,930	47,118
სულ აქტივები	36,137	39,883
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	306	331
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	4.65	1.16
მარაგების ბრუნვა (დღე)	18	39
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	28	27
დებიტორების ბრუნვა (დღე)	214	50.7
უკუგება კაპიტალზე (ROE)	2.37%	4.38%

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ფუდსერვისის“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 320 დან 335- მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება. როგორც დამქირავებელი, შპს „ფუდსერვისი“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანია განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს აძლევს კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობას, საქმიან სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები: კომპანიას ექსკლუზიური ხელშეკრულება გაფორმებული აქვს „დანონის“ წარმომადგენლობასთან, რომლის პროდუქციის დისტრიბუციაც ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე სხვადასხვა მწარმოებელი კომპანიებთან როგორი ბრენდებიცაა „სადია“ „კრუნი“ „ოტტიმა“ „3 ჟელანია“ და სხვა , რაც შეეხება კლიენტებს კომპანიისთვის მნიშვნელოვან კლიენტურას წარმოადგენს ქსელური მაღაზიები როგორიცაა „კარფური“ , „გუდვილი“, „ნიკორა“, „ფუდმარტი“, „ორი ნაბიჯი“ „სმარტი“ , და „ზღაპარი“.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში. კომპანიამ ბოლო საგადასახადო შემოწმება გაიარა 2014 წელს.

III. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მიზანს წარმოადგენს რენტაბელობის გაძლიერება არსებული რესურსების ხარჯზე, ბაზარზე პოზიციების გამყარებას და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

კომპანიის გეგმებში ძირითადი მიმართულებებია ახალი სავაჭრო ობიექტების მოძიება /დამატება, ასორტიმენტის გაზრდა და მომსახურების კიდევ უფრო გაუმჯობესება, საწარმოო სიმძლავრეების და სასაწყობო მეურნეობის გაზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.

IV. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა
2019 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

V. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ
2019 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

VI. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები
წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები და ნაშთები:

დასახელება	2019	2018
ძირითადი საშუალებები ნეტო	203	15,358
სავაჭრო და სახვა მოთხოვნები	32,001	17,293
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება / (ზარალი)	13,207	(465)
გაცემული დივიდენდები	13,735	-

VII. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები
საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2019	2018
მოსახლეობის რაოდენობა 31 დეკემბერს	3,724	3,729
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	18	15
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,696	4,346
მშპ-ის რეალური ზრდა, %	5.4%	4.7%
საშუალო წლიური ინფლაცია	3.8%	2.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,311	1,232
უმუშევრობის დონე, %	11.6%	12.7%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.

კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული FMCG სექტორის რეგულირებადი ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული FMCG სექტორში არსებულ

ტენდენციებზე. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს

რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში. საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს.

ურჩა უგულავა

დირექტორი

ნუგზარ ურუშაძე

ფინანსური მენეჯერი

რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში. საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოუშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთის მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოუშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს.

უჩა უგულავა

დირექტორი

ნუგზარ ურუშაძე

ფინანსური მენეჯერი